

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის

(ს/კ 60001056477)

სკრინინგის განცხადება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 01 აგვისტოს N21/3970 ხარვეზის წერილის შესაბამისად წარმოგიდგენთ ქ. ქუთაისის, სულხან-საბას ქ. N7-ში დაგეგმილი მეორადი პოლიეთილენის ცელოფანის პარკების ნარჩენების გადამამუშავებელ საამქროს მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სახით.

ამდენად, განმეორებით წარმოგიდგენთ ჩემს - ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის საამქროს სკრინინგის ანგარიშს ელექტრონული სახით, გთხოვთ განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საამქროს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტები ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,
ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე
ს/კ 60001056477
ტელ: 568 303 229



[თ. კუხიანიძე]

05.08.2022 წელი

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე

ქ. ქუთაისი, სულხან საბას ქ, N 7

პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროს
მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის
სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი :

შპს „ელსჰაუსი“

ს/კ 412756334

დირექტორი ზ.კვაბზირიძე

ტელ: 591-97-50-90



დამკვეთი:

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე

პ/ნ 60001056477

ტელ: 568-30-32-29

A large, stylized handwritten signature in blue ink, likely belonging to the client mentioned in the text above.

2022 წელი

შინაარსი

შესავალი -----	გვ. 3
1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ ცხრილი-----	გვ.4
2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა-----	გვ.5
3. პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ტექნიკური მაჩვენებლები და ტექნოლოგიური აღწერა -----	გვ.6
4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება -----	გვ. 7
5. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა-----	გვ.8
6. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება -----	გვ. 9
7. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება-----	გვ.9
8. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე -----	გვ.10-12
9. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება -----	გვ. 13
10. ნიადაგის, გრუნტის, იწისქვეშა და ზედაპირ. წყლების დაბინძურების რისკები-გვ-	13
11. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება -----	გვ. 14
12. ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება --	გვ. 14
13. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფთხოებაზე-----	გვ. 15
14. კუმულაციური ზემოქმედება-----	გვ.15
15. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება -----	გვ. 16
16. დანართი:	გვ. 17

- სურათი N1
- გენ-გეგმა, ორთო ფოტო
- სამეწამრეო ამონაწერი
- იჯარის ხელშეკრულება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის (ს/კ 60001056477) ქ. ქუთაისის, სულხან-საბას ქ.N7-ში დაგეგმილი მეორადი პოლიეთილენის ცელოფნის პარკების ნარჩენების გადამამუშავებელ საამქროს მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს.

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის საამქროს დაგეგმილი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მეორადი პოლიეთილენის ცელოფნის პარკების, ცელოფნის შესაფუთი მასალების და ცელოფნის სხვა სახის ნარჩენების გადამამუშავება (დაქუცმაცება), მიღებული მეორადი პოლიეთილენის ფხვნილის - „დაფქვილი მასის“ გრანულატორში გრანულირება და შემდგომ რეალიზაცია. წარმოების პორცესში განხორციელდება მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავება (დაქუცმაცება) დამქუცმაცებელში , დაქუცმაცების შემდეგ გრანულატორში გრანულირება.

საამქროს მოწყობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია ქ. ქუთაისის, სულხან-საბას ქ.N7-ში, შპს „ უნივერსალი-99“-ს (ს/კ 212704723) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: 03.05.24.197) ხელშეკრულების საფუძველზე.

დაგეგმილი საქმიანობა - მეორადი პოლიეთილენის გადამამუშავება (ნარჩენების აღდგენა) მეორადი ნედლეული მასალის (პოლიეთილენის გრანულების) მიღების მიზნით (აღდგენის კოდი R3) საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს II დანართის 10.3 პუნქტის თანახმად „ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასაწარი დამამუშავებისა“ მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას.

ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.3 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობაა, იმავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, ამის გათვალისწინებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემამუშავებელი იქნა სკრინინგის ანგარიში.

1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში

ცხრილი N1

ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების შესახებ	
საქმიანობის განმახორციელებელი	ი/მ „თეიურაზ კუხიანიძე“
საიდენტიფიკაციო კოდი	60001056477
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ.ქუთაისი, ნ. ბარათაშვილის ქ, N26
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ.ქუთაისი, სულხან-საბას ქ, N7
საქმიანობის სახე	მეორად პოლიეთილენის ცელოფნის პარკების ნარჩენების გადამამუშავებელი საამქრო
დირექტორი	თეიმურაზ კუხიანიძე
საკონტაქტო ტელეფონი	568 303 229
ელ.ფოსტა	Kuxianidze87@mail.ru
საკონსულტაციოს ფირმა	შპს „ელს ჰაუსი“
საკონტაქტო ტელეფონი	591-97-50-90
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
საქმიანობის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი სულხან-საბას ქ, N7 არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკ. კოდი 03.05.24.197
განთავსების ადგილის კოორდინატი	X -307925, Y-4679890
საპროექტო წარმადობა	
პოლიეთილენის პარკების ნარჩენების გადამამუშავება	57 ტ/წელ
გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობა წელიწადში	52ტ/წელ
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	288დღე/ წელ
ტექნოლოგიურ პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში,სთ	8სთ
დაშორებულ უახლოეს საცხოვრებელი სახლიდან	240 მ

2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის (ს/კ60001056477) კუთვნილი მეორადი პოლიეთილენის ცელოფნის პარკების ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროს მოწყობა დაგეგმილია იჯარის ხელშეკრულებით აღებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 03.05.24.197), ქ. ქუთაისი სულხან-საბას ქ.N7-ში. ტერიტორია წარმოადგენს შპს „უნივერსალი-99“-ს (ს/კ212704723) სადაც განთავსებულია სხვა და სხვა საწარმოო ობიექტები. (იხ. დანართი ხელშეკრულება და სამეწამეო ამონაწერი).

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროსთვის განკუთვნილი იქნება 115,4კვ.მ ფართობის კაპიტალური ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა აღნიშნულ ტერიტორიაზე მოწყობილია წლების წინ. (იხ.დანართი საწარმოს გენ-გეგმა, ტექნოლოგიური დანადგარები)

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის საამქროს შენობას ირგვლივ ესაზღვრება როგორც საქმიანი ეზოს საწარმოო ობიექტების შენობები, ასევე დასავლეთის მხრიდან სულხან საბას გამზირი და თავისუფალი მიწის ნაკვეთები, აღმოსავლეთით - საქმიანი ეზო შპს „უნივერსალი-99“ -ის შენობა , და შპს „კონსტანტას“-ს ბეტონის ნაკეთობათა საამქრო, ჩრდილოეთით სახერხი საამქრო და შპს „უნივერსალი-99“ -ის საქმიანო ეზო და საწარმოო

საამქროს შენობიდან 240 მ მანძილის მოშორებით დასავლეთით ფიქსირდება მოქ. სვეტლანა მეროიანის უახლოესი საცხოვრებელი სახლი (საკ. კოდი 03.05.24.743)

საამქროს ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ აღინიშნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტყით დაფარული ტერიტორია და წითელი ნუსხის სახეობები.

(იხ.დანართი სურ N3 საწარმოს სიტუაციური ნახაზი)

საწარმოს განთავსების GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2.

ცხრილი N2

წერტ.N	წერილის GPSკოორდინატები	
	X	Y
1	307898.7	4679873
2	307916.3	4679870
3	307939.6	4679857
4	307933.4	4679813
5	307904.2	4679819
6	307897	4679823
7	307902.3	4679860
8	307896.6	4679861

3. პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ტექნიკური მაჩვენებლები და ტექნოლოგიური აღწერა

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის მეორადი პოლიეთილენის ცელოფნის პარკების ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროს შენობის ფართი 115,4მ²-ია. ტექნოლოგიური პროცესი განხორციელდება დახურულ შენობაში, სადაც განთავსებული იქნება შემდეგი სახის ტექნოლოგიური დანადგარები - ერთი როტაციული დამქუცმაცებელი და ერთი გრანულატორი.

დანადგარების მაქსიმალური წარმადობაა: როტაციული დამქუცმაცებელი - 50 კგ/სთ, გრანულატორი 25 კგ/სთ.

საამქროში ნედლეულის მიღება ხდება სავაჭრო ობიექტებიდან და მოსახლეობიდან. ნედლეული წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს (მეორადი პოლიეთილენის ცელოფნის პარკების, ცელოფნის შესაფუთი მასალების და ცელოფნის სხვა სახის ნარჩენები). საამქრო ღებულობს მხოლოდ პოლიეთილენის ცელოფნის პარკების სუფთა ნარჩენებს, არ ხდება ნავთობპროდუქტებით ან სხვა სახიფათო მასალებით დაბინძურებული პოლიეთილენის პარკების მიღება. შესაბამისად საამქროში სარეცხი დანადგარების გამოყენების საჭიროება არ არსებობს.

საამქროში წარმოებული პროდუქცია წარმოადგენს მეორად პოლიეთილენის გრანულებს საწარმოში წარმოებული მზა პროდუქცია მეორადი პოლიეთილენის გრანულები სხვა საწარმოებითვის წარმოადგენს ნედლეულს.

საამქროში ნედლეულის (არასახიფათო ნარჩენების) შემოტანა/ტრანსპორტირება განხორციელდება გარემოსდაცვითი წესების სრული დაცვით ავტოტრანსპორტით, ტომრებში (ბიგ-ბეგებში) განთავსებული და საწყობდება საამქროს შენობაში. ნარჩენების ჩატვირთვა/გადმოტვირთვა და ტრანსპორტირებისას მაქსიმალურად გამორიცხულია ნარჩენების დაკარგვა და გაფანტვა გარემოში.

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის საამქროში დასაქმებულია სამი ადამიანი (კაცი).

საამქროში დაგეგმილია წელიწადში 57 ტ/წელ არასახიფათო ნარჩენების გადამამუშავება. საამქრო მუშაობს ერთცვლიანი სამუშაო რეჟიმით, 8 საათიანი სამუშაო დღით, წელიწადში 288 დღე და 2304 საათი.

დანადგარების მაქსიმალური წარმადობაა: როტაციული დამქუცმაცებელი - 50 კგ/სთ, გრანულატორი 25 კგ/სთ.”

საწარმოს სამუშაო რეჟიმისა და დანადგარების წარმოადგენის გათვალისწინებით ფაქტურად შეუძლია 52 ტ გრანულების წარმოება.

დანადგარების დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილი N 3
 ცხრილი N3

N	დანადგარის დასახელება	სამარკო სახელწოდება	ტექნიკური მახასიათებლები
1	როტაციული დამქუცმაცებელი	Gh150l	მაქსიმალური საათური წარმადობა 50 კგ/სთ
	გრანულატორი	Oz-MAK QS 90S2A H	მაქსიმალური საათური წარმადობა 25კგ/სთ

4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება

საამქროში გადასამუშავებელი ნედლეული წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს (მეორადი პოლიეთილენის ცელოფნის პარკები, ცელოფნის შესაფუთი მასალა, რომლითაც სავაჭრო ობიექტებში შეფუთული იყო სასურსათო და სხვა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები/პროდუქტები და წარმოადგენს ნარჩენს).

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N246 დადგენილების „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხისა და კლასიფიკაციის შესახებ“ შეაბამისად კონკრეტულად აღნიშნული ნარჩენების (მეორადი პოლიეთილენის ცელოფნის ნარჩენების) იდენტიფიცირება შეუძლებელია, თუმცა იქედან გამოდინარე, რომ პოლიეთილენის ცელოფნის პარკები გამოყენებული იყო ქაღალდის, მუყაოს ყუთების, პლასტმასის ნივთების შესაფუთად, შესაძლებელია ნარჩენს მიეთითოს კოდი: 15.01.02 .

საამქროში გადასამუშავებელი ნედლეული წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს (მეორადი პოლიეთილენის ცელოფნის პარკები, ცელოფნის შესაფუთი მასალა, რომლითაც სავაჭრო ობიექტებში შეფუთული იყო სასურსათო და სხვა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები/პროდუქტები და წარმოადგენს ნარჩენს). მაგ. მუყაოს ყუთი რომელშიც მოთავსებულია საყოფაცხოვრებო ნივთები/საკვები პროდუქტები და გარედან შეფუთულია ცელოფნის პარკით, ქაღალდის ხელსახოცების შეკვრა, რომელიც ასევე შეფუთულია გარედან პოლიეთილენის პარკით და ა. შ.

ნარჩენების აღდგენის ოპერაციის კოდია R3 - „იმ ორგანული ნივთიერებების რეციკლირება/აღდგენა, რომლებიც არ გამოიყენება როგორც გამხსნელები, ითვალისწინებს პლასტმასის ე.წ. მეორეული მექანიკური რეციკლირებას“

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე ნედლეულის შექმნას ახდენს ქვეყანაში მოქმედი ფიზიკური და იურდიული პირების (კონტრაქტორების) მიერ ხელშეკრულების საფუძველზე. ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე არ ახდენს ნარჩენების შეგროვებას.

საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეული შემოიზიდება კონტრაქტორების მიერ სატრანსპორტო საშუალებებით, ტომრებში (ბიგ-ბეგებში) განთავსებული.

მეორადი პოლიეთილენის გრანულების საწარმოებლად წლის განმავლობაში საჭირო ნედლეულის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 57ტ-ს. ნედლეული უნარჩუნოდ გადადის პროდუქციაში. დაქუცმაცებისას დანაკარგი არის დაახლოებით 5%. საამქრო წლის განმავლობაში განახორციელებს 52ტ მეორადი პოლიეთილენის გრანულების წარმოებას. მიღებული მზა პროდუქცია (მეორადი პოლიეთილენის გრანულები) იყრება ტომრებში და დაფასოებული სახით ხდება შემდგომი რეალიზაცია.

აღნიშნული „დაქუცმაცებისას დანაკარგი არის დაახლოებით 5%“ - გულისხმობს „ტექნოლოგიურ დანაკარგს“ და რაც გამოწვეულია დანადგარში მეორადი პოლიეთილენის დაქუცმაცებით ე.ი „მექანიკური დანაკარგი“. პოლიეთილენის დაქუცმაცების -მექანიკური გადამუშავების დროს „მექანიკური დანაკარგი“ წარმოიქმნება მტვერის (პოლიმერული მტვერის) სახით და გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში, რაზედაც საანგარიშო მეთოდის შესაბამისად ჩატარებულია ემისიების გაანგარიშება. ტექნოლოგიური პროცესის დროს სხვა სახის ნარჩენის წარმოქმნას ადგილი აქვს.

ტექნოლოგიურ პროცესისათვის საჭიროა მხოლოდ ენერგორესურსები, რომლის მოწოდებაც ხორციელდება ენერგო-პროჯორჯიას უახლოესი ქვესადგურიდან. ხელშეკრულების საფუძველზე. ტექნოლოგიურ პროცესში საამქროს წყალი არ ესაჭიროება.

5. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

საწარმო პროცესი იწყება პოლიეთილენის ნარჩენების მიღებით, აღნიშნული ნარჩენების გადამუშავება ხორციელდება უმარტივესი მეთოდით, ნედლეული შემოიზიდება სატრანსპორტო საშუალებით, დასაწყობდება ტომრებით საამქროში. საამქრო არ ღებულობს ნავთობპროდუქტებითა და სხვა სახიფათო მასალებით დაბიძურებულ ცელოფნის ნარჩენებს.

დაგემილი საქმიანობის -მეორადი პოლიეთილენის გრანულების საწარმოებლად წლის განმავლობაში საჭირო ნედლეულის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 57ტ-ს. ნედლეული უნარჩუნოდ გადადის პროდუქციაში. დაქუცმაცებისას დანაკარგი არის დაახლოებით 10%. საამქრო წლის განმავლობაში განახორციელებს 52ტ მეორადი პოლიეთილენის გრანულების წარმოებას. მიღებული მზა პროდუქცია (მეორადი პოლიეთილენის გრანულები) იყრება ტომრებში და დაფასოებული სახით მოხდება შემდგომი რეალიზაცია.

აღნიშნული „დაქუცმაცებისას დანაკარგი არის დაახლოებით 10%“ - გულისხმობს „ტექნოლოგიურ დანაკარგს“ და რაც გამოწვეულია დანადგარში მეორადი

პოლიეთილენის დაქუცმაცებით ე.ი „მექანიკური დანაკარგი“. პოლიეთილენის დაქუცმაცების -მექანიკური გადამუშავების დროს „მექანიკური დანაკარგი“ წარმოიქმნება მტვერის (პოლიმერული მტვერის) სახით და გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში, რაზედაც საანგარიშო მეთოდის შესაბამისად ჩატარებულია ემისიების გაანგარიშება. ტექნოლოგიური პროცესის დროს სხვა სახის ნარჩენის წარმოქმნას ადგილი აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეუსაბამოა „პოლიმერული მტვერი“-ის „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით გათვალისწინებული კოდისა და დასახელების მინიჭება.

ნარჩენების გადამუშავება (დაქუცმაცება) ხდება სპეციალური მოწყობილობაში - როტაციულ დამქუცმაცებელში, რომლის მაქსიმალური წარმადობაა 50კგ/სთ-ში. როტაციული დამქუცმაცებლის მიმღებ ბუნკერში ნედლეულის ჩაყრა ხდება მუშა პერსონალის ხელით. როტაციული დამქუცმაცებელში (ელ.ენერჯის ხარჯზე) ლითონის დანების საშუალებით ქუცმაცდება ნარჩენები და დაქუცმაცებული ნარჩენებიდან მიიღება პოლიმერის „დაფქვილი“ მასა, რომელიც იყრება დამქუცმაცებლის ბუნკერის ქვედა სარქველით სპეციალურ ავზში, საიდანაც ისევ მუშა პერსონალის მიერ ხელის ნიჩბით იყრება გრანულატორში. გრანულატორი ცხელდება ელ. ენერჯის ხარჯზე. გრანულატორში ჩაყრილი პოლიეთილენის დაფქვილი მასა გაცხელებისას ხდება ერთგვაროვანი და წნევით გამოდის ექსტრუდერიდან, სადაც იჭრება გრანულებად, იყრება ავზში და გრილდება.

საამქროს მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე წყალი არ ესაჭიროება. საამქროში დასაქმებულია სამი ადამიანი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით (სასმელი) წყლის გამოყენება ხდება საამქროს განთავსების ტერიტორიაზე „საქმიანი ეზოს“ ცენტრალური წყამომარაგების ქსელიდან.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად „ნარჩენების გადამუშავება (დაქუცმაცება) ხდება სპეციალური მოწყობილობაში -როტაციულ დამქუცმაცებელში, რომლის მაქსიმალური წარმადობაა 50კგ/სთ-ში. როტაციული დამქუცმაცებლის მიმღებ ბუნკერში ნედლეულის ჩაყრა ხდება მუშა პერსონალის ხელით. როტაციული დამქუცმაცებელში (ელ.ენერჯის ხარჯზე) ლითონის დანების საშუალებით ქუცმაცდება ნარჩენები და დაქუცმაცებული ნარჩენებიდან მიიღება პოლიმერის „დაფქვილი“ მასა, რომელიც იყრება დამქუცმაცებლის ბუნკერის ქვედა სარქველით სპეციალურ ავზში, საიდანაც ისევ მუშა პერსონალის მიერ ხელის ნიჩბით იყრება გრანულატორში. გრანულატორი ცხელდება ელ. ენერჯის ხარჯზე. გრანულატორში ჩაყრილი პოლიეთილენის დაფქვილი მასა გაცხელებისას ხდება ერთგვაროვანი და წნევით გამოდის ექსტრუდერიდან, სადაც იჭრება გრანულებად, იყრება რკინის ავზში და გრილდება წყლის გარეშე.

გაგრილების შემდეგ მიღებული მზა პროდუქცია - მეორადი პოლიეთილენის გრანულები რეალიზაციამდე დროებით საწყობდება საამქროს შენობაში.

6. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება

საამქროს მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე წყალი არ ესაჭიროება. საამქროში დასაქმებულია სამი ადამიანი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით (სასმელი) წყლის გამოყენება ხდება საამქროს განთავსების ტერიტორიაზე „საქმიანი ეზოს“ ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან.

საამქროს შენობაში არ არის მოწყობილი სანიტარული კვანძი, საპირფარეშო და ასევე არ არის მოწყობილი საასენიზაციო ორმო. შენობის ფართი 115,4კვ.მ -ია.

აღნიშნულიდან გამომდინარე საამქროში არ წარმოიქმნება საწარმოო და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები და შესაბამისად საწარმოდან არ არის მოსალოდნელი ზედაპირული წყლის დაბინძურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე საამქროში არ წარმოიქმნება საწარმოო და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები და შესაბამისად საწარმოდან არ არის მოსალოდნელი ზედაპირული წყლის დაბინძურება.

საწარმოს განთავსების ტერიტორია წარმოადგენს საქმიან ეზოს, სადაც მოწყობილია საერთო სარგებლობის სანიტარული კვანძი ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე ი/მ თეიმურაზ კუხიანიძეს არ ესაჭიროება საწარმოო შენობაში საპირფარეშო/სანიტარული კვანძის მოწყობა.

7. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

საამქროში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესებისა და გამოყენებული ნედლეულის გათვალისწინებით გარემოში არ გამოიყოფა სახიფათო და ტოქსიკური (საშიშროების მაღალი კლასის) ნივთიერებები. ნედლეული წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს. საამქროს ექსპლუატაციის დროს ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერება არის პოლიმერული მტვერი, რომლის გამოყოფის ინტესივობა იმდენად დაბალია, რომ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით შედეგებს ვერ მოახდენს.

ობიექტის საქმიანობის განხორციელებისას განხილულია შემდეგი სახის ზემოქმედებები:

- ❖ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება;
- ❖ ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურების რისკები;
- ❖ ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება;
- ❖ მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები;

- ❖ ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკები;
- ❖ ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ❖ ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე;
- ❖ კუმულაციური ზემოქმედება

8. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საწარმო ექსპლუატაციის დროს მნიშვნელოვან გავლენას ატმოსფერულ ჰაერზე ვერ მოახდენს, რადგან ტექნოლოგიური პროცესების დროს ატმოსფერულ ჰაერში არ ხდება სახიფათო ნივთიერებების გამოყოფა. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება გამოიხატება: პლასტმასის ნარჩენების დაქუცმაცების და გრანულირების დროს, ატმოსფერულ ჰაერში პოლიმერული მტვრის, ძმარმჟვასა და ნახშირჟანგის გამოყოფით.

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები მოცემულია ცხრილ - 2-ში

ცხრილი 2. ნივთიერებების მახასიათებელი სიდიდეები.

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
988	პოლიმერული მტვერი	---	0,1	3
1555	ძმარმჟვა	0,2	0,06	3
337	ნახშირჟანგი	5,0	3,0	4

ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის საანგარიშო მეთოდების და საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურების წყაროებს წარმოადგენს გრანულატორი და როტაციული დამქუცმაცებელი. ამ დროს შესაძლებელია გარემოში გამოიყოს:

- ❖ პოლიმერული მტვერი,
- ❖ ძმარმჟვა
- ❖ ნახშირჟანგი

ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა რაოდენობების გაანგარიშება ხდება „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მიხედვით, რეგლამენტის 79-ე დანართის შესაბამისად ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტის მნიშვნელობები მოცემულია N 3 ცხრილში

ცხრილი N3

დამაბინძურებელი ნივთიერება		ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი დაგამუშავებული მასალის მასის ერთეულზე გ/კგ
კოდი	დასახელება	
0988	პოლიმერული მტვერი	1,35
1555	ძმარმუჯავა	1,6
0377	ნახშირქანგი	0,85

ემისიების გაანგარიშება პოლიეთილენის ნარჩენების დამქუცმაცებელი დანადგარიდან ჩატარებულია სახელმძღვანელო მეთოდის დანართი 82-ის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც პოლიპროპილენის დაქუცმაცების დროს საწარმოში დამონტაჟებული დანადგარისათვის ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს 0,7გ/კგ-ზე.

აღნიშული მონაცემების გათვალისწინებით მეორადი პოლიეთილენის დაქუცმაცების დროს მტვრის გაფრქვევის ინტენსივობა გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება

$$G_{\text{ატმ.}} = 5 \times 0.7 / 3600 = 0,00097 \text{ გ/წმ}$$

იმის გათვალისწინებით რომ დანადგარის წლიური სამუშაო ფონდია 2304სთ/წელ მაშინ წამური გაფრქვევა ტოლი იქნება:

$$M = 0.00097 \text{ გ/წმ} \times 3600 \text{ წმ} \times 2304 \text{ სთ/წელ} \times 10^{-6} = 0,00806 \text{ ტ/წელ}$$

ასპირაციის არ არსებობის შემთხვევაში მეთოდური სახელმძღვანელოს მიხედვით მყარი შეწონილი ნაწილაკების ემისიისათვის გამოიყენება კოეფიციენტი 0,4 ამ კოეფიციენტის გამოყენებით გამოყოფილი მტვრის გაფრქვევის სიმძლავრე იქნება

$$G_{\text{ატმ.}} = 0,00097 \text{ გ/წმ} \times 0.4 = 0,000388 \text{ გ/წმ}$$

$$M = 0.000388 \text{ გ/წმ} \times 3600 \text{ წმ} \times 2304 \text{ სთ/წელ} \times 10^{-6} = 0,0032 \text{ ტ/წელ}$$

პოლიეთილენის გრანულების წარმოებისას ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა აირად ფაზაში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებები: კერძოდ, ნახშირბადის ოქსიდი და ძმარმჟავა (ეთანმჟავა)

ემისის გაანგარიშებისათვის გამოიყენება ტექნოლოგიური პროცესში გადასამუშავებელი მასალის საათური და წლიური ოდენობები.

i-ური ნივთიერების მაქსიმალური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M = Q \cdot B' / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც Q- არის გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ)

B' - გადასამუშავებელი მასალის მაქსიმალური ერთჯერადი ხარჯი მოწყობილობაზე (დანადგარზე) (კგ/სთ)

i-ური ნივთიერების ჯამური წლიური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M = Q \cdot B \cdot 10^{-6}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც Q- არის გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ)

B - გადასამუშავებელი მასალის ჯამური წლიური ხარჯი (კგ/წელ)

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოყვანილია ქვემოთ:

მასალის მაქსიმალური ხარჯი B' -- 25 კგ/სთ

მასალის ჯამური წლიური ხარჯი B -- 57 000 კგ/წელ

Q - დამაბინძურებელი ნივთიერებების კუთრი გამოყოფა : ძმარმჟავა - 0,3 გ/კგ;
ნახშირჯანგი - 0,2 გ/კგ

გაანგარიშების საწყისი მონაცემების შესაბამისად:

1555 ეთანმჟავა (ძმარმჟავა)

$$M = 0,3 \cdot 25 / 3600 = 0,0020 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,3 \cdot 57\,000 \cdot 10^{-6} = 0,018 \text{ ტ/წელ}.$$

337. ნახშირბადის ოქსიდი

$$M = 0,2 \cdot 25 / 3600 = 0,0013 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,2 \cdot 57\,000 \cdot 10^{-6} = 0,012 \text{ ტ/წელ}$$

ამდენად, საწარმოს ფუნქციონირებისას წელიწადში ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებების რაოდენობა იქნება:

პოლიმერული მტვერი - 0,0032ტ/წელ

ძმარბუავა - 0,018 ტ/წელ

ნახშირჯანგი - 0,012ტ/წელ

9. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება

საწარმოს მუშაობას თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს როტაციული დამქუცმაცებელი. მისი ხმაურის დონის დადგენის მიზნით იდენტურ საწარმოებში ჩატარებულმა ინსტრუმენტულმა გაზომვებმა გვიჩვენა, რომ ხმაურის დონე საწარმოო უბანზე დღისით 45-50 დბა-ია. ვინაიდან საამქრო განთავსებულია დახურულ კაპიტალურ შენობაში, ეს ხმაურის დონეს არანაკლებ 15 დბა-ით ამცირებს. ამდენად, ხმაურის დონე შენობის გარეთ 40-45დბა-ს არ აღემატება. გარდა ამისა საწარმო შენობა უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 240 მეტრის მანძილზე. ნორმატიული დოკუმენტით – სანიტარიული ნორმები „ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე“ საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე ხმაურის დასაშვები დონე, დღის საათებისათვის შეადგენს 55 დბა-ს, ხოლო ღამის საათებისათვის 45 დბა-ს.

ამრიგად, ხმაურის დონე საანგარიშო წერტილში, უახლოეს დასახლებულ პუნქტში არ აღემატება ნორმირებულ სიდიდეს დღის და ღამის საათებისათვის. კაპიტალური კედელის ეფექტურობა შეადგენს 10-15დბა-ს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლებში საწარმოს გავლენით მოსალოდნელი ხმაურის დონე ვერ გადააჭარბებს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებულ ნორმას (35დბა-ს).

10. ნიადაგის, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკები

ნიადაგის და გრუნტების დაბინძურების რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან საწარმოო პროცესი არ გამოიყენება ისეთი ნივთიერებები, რომელიც გამოიწვევს ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურებას. მით უმეტეს საწარმოო პროცესი მიმდინარეობს მთლიანად დახურულ კაპიტალურ შენობაში.

მიწისქვეშა და სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკები საამქროს ტერიტორიიდან არ არსებობს, რადგან საწარმოო პროცესის მიმდინარეობის დროს გამოიყენება მხოლოდ ისეთი ნედლეული და მასალები, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას. ასევე საამქროს ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიტარული კვანძი და საპირფარეშო. აქედან გამომდინარე ტერიტორიაზე დაბინძურების წყაროები პრაქტიკულად არ არსებობს.

11. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

საამქრო განთავსებულია ათვისებულ ტერიტორიაზე, წლების წინ აშენებულ შენობა-ნაგებობაში. ამდენად, მისი ფუნქციონირება ლანდშაფტზე რაიმე გავლენას ვერ იქონიებს. საამქროს მიმდებარედ არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე დარგულია და ხარობს სხვა და სხვა სახეობის ხემცენარეები, ასევე გავრცელებულია სარეველა მცენარეები. საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე არ არის დაფიქსირებული გარეული ცხოველების არსებობა.

საწარმოს ფუნქციონირება არ არის დაკავშირებული მშენებლობასთან, ახალი ტერიტორიის ათვისებასთან. არ იგეგმება ხეების მოჭრა ან ისეთი სამუშაოები, რომლებიც გავლენას მოახდენს მცენარეთა საფარზე. ტექნოლოგიური დანადგარი მოთავსებულია შენობის შიგნით, მუშაობა მიმდინარეობს მხოლოდ დღის საათებში, ამდენად ბიომრავალფეროვნებაზე რაიმე ზეგავლენას ვერ მოახდენს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გამორიცხულია ბუნებრივ ლანდშაფტზე, ფლორასა და ფაუნაზე დამატებითი უარყოფითი გავლენის მოხდენა.

12. ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

საამქროში ნედლეულის (არასახიფათო ნარჩენების) ტრანსპორტირება განხორციელდება სანიტარული და გარემოსდაცვითი წესების სრული დაცვით.

ნარჩენების ჩატვირთვა/გადმოტვირთვა და ტრანსპორტირებისას მაქსიმალურად იქნება გამორიცხული ნარჩენების დაკარგვა და გაფანტვა გარემოში.

საამქროში მოსალოდნელია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. ვინაიდან საამქროს ოპერირებას უწევს მხოლოდ სამი მუშა პერსონალი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა არ აღემატება 0,5 მ³ წელიწადში.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განთავსებული იქნება სპეციალური ბუნკერი, რომლის გატანაც მოხდება ქ. ქუთაისის დასუფთავების სამსახურის მიერ.

რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, მათი წარმოქმნა არ ხდება საამქროში. ტექნოლოგიური დანადგარი ფუნქციონირებისათვის საჭიროებს ელექტრო ენერჯიას. ასევე მისი დაზიანის შენთვევაში, შეკეთება/ რემონტი საამქროში არ მოხდება, რაც გამორიცხავს სახიფათო ნარჩენის წარმოქმნას.

13. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე

საამქრო ფუნქციონირების პროცესში ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორები მომსახურე პერსონალია. მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის, რადგან საწარმოში არ არის გამოყენებული მაღალ ტემპერატურასა და წნევაზე მომუშავე დანადგარები, სახიფათო და ტოქსიკური ნივთიერებები. საწარმოში გამოყენებული დანადგარი (როტაციული დამქუცმაცებელი) არ შეიცავს ავარიის წარმოქმნისა და გავრცელების რისკებს, თუმცა ნედლეული (პოლიეთილენი) და პროდუქცია ხანძრის შემთხვევაში კარგად იწვის.

საწარმოში დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების პირობები: დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ასევე საამქროში მოეწყობა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

ობიექტიდან მოსალოდნელი ემისიების სახეობრივმა და რაოდენობრივმა გაანგარიშებამ აჩვენა, რომ საამქრო ექსპლუატაციის პროცესში მოსახლეობაზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს, რადგან არ არის მოსალოდნელი ემისიების ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებზე გადაჭარბება.

14. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია, საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე საქმიანობების განხორციელებით მოსალოდნელი მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად, გაცილებით მაღალი და საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან და განთავსების ადგილიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთ საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და ხმაურის გავრცელება. კერძოდ, საწარმოს და მის მიმდებარედ არსებული საწარმოების ერთდროული ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამური ზეგავლენა გარემოს სხვა და სხვა რეცეპტორებზე.

საპროექტო საწარმოდან 220 მეტრში განთავსებულია ი/მ გიორგი ჩხიკვაძის, 260 მეტრში - შპს „უ&ნ ჯგუფის“ და 430 მეტრში ი/მ პეტრე მაჭავარიანის პლასტმასის (პოლიეთილენის) ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმოები.

ი/მ პეტრე მაჭავარიანს და ი/მ გიორგი ჩხიკვაძეს „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების ინვერტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილება N 42) შესაბამისად შემუშავებული აქვთ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში და საწარმოების ფუნქციონირებისას წელიწადში ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებების რაოდენობა დადგენილა ნორმის შესაბამისად: ი/მ პეტრე მაჭავარიანი პოლიმერული მტვერი - 0,0287 ტ/წელ ძმარმჟავა - 0,00064 ტ/წელ ნახშირჟანგი - 0,00043 ტ/წელ უჯერი ნახშირწყალბადები - 0,00194ტ/წელ;

ი/მ გიორგიჩხიკვაძე - პოლიმერული მტვერი - 0,00268ტ/წელ ძმარმჟავა - 0,00039 ტ/წელ ნახშირჟანგი - 0,00026ტ/წელ უჯერი ნახშირწყალბადები - 0,00117ტ

შპს „უ&ნ ჯგუფის“ ქ. ქუთაისში შპს „უ&ნ ჯგუფის“ პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობების საწარმოს - პოლიმერული მტვერი - 0,031ტ/წელ ძმარმჟავა - 0,042 ტ/წელ ნახშირჟანგი - 0,25ტ/წელ უჯერი ნახშირწყალბადები - 0,0115ტ

ი/მ თეიმურა კუხიანძის დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას, საწარმოს ფუნქციონირებისას წელიწადში ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე

ნივთიერებების რაოდენობა იქნება: პოლიმერული მტვერი - 0,0032ტ/წელ ძმარმჟავა - 0,018 ტ/წელ ნახშირჯანგი - 0,012ტ/წელ

ამდენად, არსებული საწარმოებისა და დაგეგმილი საწარმოს ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად, ასევე საწარმოებს შორის არსებული მანძილის გათვალისწინებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

15. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტის ფუნქციონირება ასტიმულირებს და ხელს უწყობს სახვა და სხვა საწარმოო ობიექტების ფუნქციონირებას, საწარმო წვლილს შეიტანს ეკონომიური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ არის (ერთ ადამიანი) მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მაინც დადებითად იმოქმედებს ადამიანის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

საამქრო წარმოებული პროდუქციით ხელს შეუწყობს პოლიეთილენის შემცველი ნაკეთობების დამაზადებელი საწარმოების ნედლეულით მომარაგებას და მუშაობას. ასევე ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე საგადასახადო კანონდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

დანართი



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18193611, 12/11/2018 16:23:39

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: თეიმურაზი კუხიანიძე
სამართლებრივი ფორმა: ინდივიდუალური მენარმე
საიდენტიფიკაციო ნომერი: 60001056477
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 12/11/2018
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ქუთაისი ნ.ბარათაშვილის ქ. N 26

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: kuxianidze87@mail.ru
დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკვთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;

- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17055975, 24/05/2017 09:54:56

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს უნივერსალი-99

სამართლებრივი ფორმა: შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 212704723

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 12/4-934; 31/05/1999

მარეგისტრირებული ორგანო: ქ.ქუთაისის სასამართლო

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.ქუთაისში, სულხან-საბას, №7

დამატებითი ინფორმაცია:
ელ. ფოსტა: lashash1@rambler.ru

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
სს უნივერსალი (212679458)	გამოყოფა	შპს უნივერსალი-99 (212704723)	31/05/1999

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი - 60001001934, ლაშა შაშიაშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე

60001001934, ლაშა
შაშიაშვილი

წილი

100%

წილის მმართველი

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა**ყადალა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882021241623 - 30/03/2021 17:16:17

მომზადების თარიღი
02/04/2021 11:52:38

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ქუთაისი	ვაკისუბანი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
03	05	24	197	დამუსტებული ფართობი: 1918.00 კვ.მ.
მისამართი: ქალაქი ქუთაისი , გამზირი სულხან-საბა , N 7 (ნაკვეთი N3)				ნაკვეთის წინა ნომერი: 03.05.01.758 ;
				შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობები გაშ. ფართით : N1 - 115.4 კვმ, N2 - 546.7 კვმ, N3 - 268.7 კვმ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 032007004018/2 , თარიღი 10/05/2007

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ტოპოგრაფიული გეგმა უძრავი ქონების გაყოფის თაობაზე , გაფორმების თარიღი: 21/09/2006
- განცხადება მიწის ნაკვეთის გაყოფის შესახებ 10.05.2007 წლის
- საქართველოს კანონი "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ"
- საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საქმიანი ბარათი 10.03.1997 წლის N06-7/1121

მესაკუთრეები:

შპს "უნივერსალი-99" , ID ნომერი: 212704723

მესაკუთრე:

შპს "უნივერსალი-99"

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი

882021241623
თარიღი 30/03/2021 17:16:17

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 02/04/2021

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "ხალიკ ბანკი საქართველო" 205236537;

საგანი: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობი: 1918.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობები გაშ. ფართით : N1 - 115.4 კვმ, N2 - 546.7 კვმ, N3 - 268.7 კვმ ;

იპოთეკის ხელშეკრულება N000301.672-ბ , დამოწმების თარიღი 30/03/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ვალდებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."


- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გეჭნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 03 05 24 197
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882010699992
მიწის ნაკვეთის ფართობი: 1918 კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო

გომზადების თარიღი: 15.07.10



შენიშვნა-ნაგებობა,
პირობითი ნომერი/სართულიანობა



ვადღებულება



ხაზობრივი ნაგებობა



მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი



მშენებარე ნაგებობა

00 0
UTM (საერთაშორისო)
სისტემის კოორდ.

მასშტაბი: 1:500

0 1.5 3 6 9 მეტრი

იჯარის ხელშეკრულება N5/2022

ქ. ქუთაისი

15 მარტი 2022 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები არიან:

1.1. მეიჯარე – შპს „უნივერსალი-99“, ადგილმდებარეობით ქ. ქუთაისი, სულხან-საბას ქ. № 7 საიდენტიფიკაციო №212704723 წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა შაშიაშვილის (პირ.ნომ. 60001001934) სახით.

1.2. მოიჯარე – ი/მ „თემური კუხიანიძე“ პ/ნ 60001056477 მისამართი ქუთაისი ბარათაშვილის 26 სახით.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საიჯარო ქონება – წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 მუხლში მითითებული უძრავი ნივთი, რომელსაც მეიჯარე მოიჯარეს გადასცემს დროებით (7.1 მუხლში დადგენილი ვადით) სარგებლობაში;

ბ) ქირა – წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 მუხლში გათვალისწინებული ფულადი თანხა, რომელსაც მოიჯარე უხდის მეიჯარეს საიჯარო ქონებით სარგებლობისათვის;

გ) მხარეები – მეიჯარე და მოიჯარე;

დ) მხარე – მეიჯარე ან მოიჯარე კონტექსტის შესაბამისად.

1.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული სხვა ტერმინების მნიშვნელობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მეიჯარე მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადასცემს **100კვ/მ** (ს/კ 03.05.24.197) საიჯარო ქონებას. (სასაწყობე ფართი)

3. საიჯარო ქონება; საკუთვნიბელი

3.1. საიჯარო ქონებას წარმოადგენს ქ. ქუთაისი სულხან-საბა №7 არსებულ სასაწყობე ფართს.

3.2. საიჯარო ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნის მეიჯარეს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას, მოიჯარეს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საიჯარო ქონება.

3.4. „უფლებრივად უნაკლო“ საიჯარო ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ იმას, რომ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები მოიჯარეს საიჯარო ქონების გამო.

3.5. „ნივთობრივად უნაკლო“ საიჯარო ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ იმას, რომ საიჯარო ქონება გამოსადეგია 5.1 მუხლში მითითებული საქმიანობისათვის.

3.6. მეიჯარე აგრეთვე აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის საიჯარო ქონება არ არის გაქირავებული (იჯარით გადაცემული), გასხვისებული ან მესამე პირთა სასარგებლოდ დატვირთული რაიმე ვალდებულებით.

3.7. წინამდებარე ხელშეკრულებით მოიჯარის დროებით სარგებლობაში გადადის საიჯარო ქონების საკუთვნიბელიც.

4. საიჯარო ქონებით სარგებლობა

4.1. მოიჯარემ საიჯარო ქონება უნდა გამოიყენოს სამეწარმეო საქმიანობისათვის.

4.2. იჯარის ვადის სრული პერიოდის განმავლობაში მოიჯარეს უფლება აქვს გასცეს საიჯარო ქონება ქვეიჯარით, მეიჯარის წინასწარი თანხმობით.

5. ქირა; გადახდის წესი; კომუნალური გადასახადები

5.1. საიჯარო ქონებით სარგებლობისათვის ყოველთვიური ქირა განისაზღვრება **500 (ხუთასი) ლარით**.

5.2. საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება მოიჯარეს წარმოეშევა 15 მარტიდან.

5.3. საიჯარო ქირის გადახდა ხდება ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ნაღდი ან უნაღლო ანგარიშსწორებით.

5.4. უნაღლო ანგარიშსწორების შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი საბანკო რეკვიზიტები:

ბანკი: „თბს ბანკის ქუთაისის ფილიალი“,
ბანკის კოდი: 220101888
მიმღები: შპს „უნივერსალი-99“,
მიმღების ანგარიში: № GE 04TB0300000000467797

5.5. მოიჯარე ვალდებულია, იჯარის მოქმედების მთელი პერიოდისათვის გადაიხადოს კომუნალური (ელექტროენერგია, წყალი, გაზი და სხვა), აგრეთვე სხვა (ტელეფონით სარგებლობისათვის და სხვ.) გადასახადები, რომელიც დაკავშირებული იქნება საიჯარო ქონების ექსპლოატაციასთან.

6. იჯარის ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული იჯარა დადებულია 2023 წლის 1 იანვრამდე.

7. საიჯარო ქონების მოვლა; მიმდინარე რემონტი

7.1. მოიჯარე ვალდებულია იზრუნოს საიჯარო ქონების სათანადოდ მოვლისათვის.

7.2. სათანადოდ მოვლაში იგულისხმება:

- ა) სისტემატიური დასუფთავება;
- ბ) სანტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფა;
- გ) ელექტროგაყვანილობის გამართულობის უზრუნველყოფა;

7.3. მოიჯარე უფლებამოსილია, საკუთარი ხარჯით განახორციელოს საიჯარო ქონების კოსმეტიკური რემონტი.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან, რომ დასაშვებია, მოიჯარემ საიჯარო ქონებაში დაამონტაჟოს სხვადასხვა სახის ინვენტარი და მოწყობილობები (ჭადები, ბრები, გამათბობლები და ა.შ.), რომლებიც საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ დარჩება მოიჯარის საკუთრებაში. მეიჯარე აცხადებს თანხმობას, რომ ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე მოიჯარემ განახორციელოს ყველა აუცილებელი სამუშაოები.

8. იჯარის შეწყვეტა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი იჯარა წყდება შემდეგ შემთხვევებში:

- ა) საიჯარო ქონების სრული განადგურებით;
- ბ) თუ მეიჯარე და მოიჯარე ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება;
- გ) წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული ვადის ამოწურვისას;
- დ) სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულების შეწყვეტის სხვა შემთხვევებში.

8.2. მოიჯარის მიერ ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილი იქნას ვადამდე, თუ იგი შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე გააფრთხილებს მეიჯარეს.

9. საიჯარო ვადის დასრულების შედეგები

- 9.1. მოიჯარე ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი იჯარის შეწყვეტის შემთხვევაში მეიჯარეს დაუბრუნოს საიჯარო ქონება.
- 9.2. საიჯარო ვადის დასრულების შემდეგ საიჯარო ქონების მოუცილებელი გაუმჯობესებანი რჩება მეიჯარეს ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე, ხოლო დამონტაჟებული მოწყობილობანი და ყველა ის საგანი, რომლის მოცილებაც შეიძლება იჯარის საგნისათვის ზიანის მიყენების გარეშე, რჩება მოიჯარეს.
- 9.3. მოწყობილობათა დემონტაჟი ხორციელდება მოიჯარის ხარჯით.

10. პასუხისმგებლობა

- 10.1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.
- 10.2. მოიჯარე პასუხს აგებს საიჯარო ქონების დაზიანებისა თუ გაუარესებისათვის (გარდა ნორმალური ცვეთისა), რომლებიც წარმოიშვა იჯარის მოქმედების პერიოდში, თუ ის არ დაამტკიცებს, რომ ისინი წარმოიშვა მისი ბრალის გარეშე.
- 10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ მეიჯარის მიერ ხელშეკრულების მოშლისას, მისი პირობების შეცვლისას ან საიჯარო ქონების მესამე პირზე გასხვისებისას იხდის პირგასამტეხლოს საიჯარო ქირის ათმაგი ოდენობით.

11. ფორს-მაჟორი

- 11.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
- 11.2. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

12. მოიჯარის მიერ თავისი უფლების დაცვა

- 12.1. თუ მოიჯარეს ხელი შეეშლება თავისი უფლებების განხორციელებაში, მაშინ ამის თავიდან ასაცილებლად მას შეუძლია ისარგებლოს მართლზომიერი მფლობელის უფლებამოსილებით.

13. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

- 13.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 13.2. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები წყდება მოლაპარაკების გზით. თუ მხარეები ერთ-ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის დავის წამოჭრის შესახებ შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მაშინ დავის გადასაწყვეტად მხარეები მიმართავენ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

- 14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრამდე.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

15.1. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები.

16. ხელშეკრულების ენა და ვებ-გვერდები

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ვებ-გვერდით. რომელთაგან თითო გადაეცემა მოიჯარესა და მეიჯარეს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მეიჯარე

შპს „უნივერსალი-99“,
212704723

ქუთაისი სულხან საბას 7
სს „თიბისი ბანკი“
GE 04TB0300000000467797

დირექტორი



თ. შამიაშვილი

მოიჯარე

ი/მ „თემური კუხიანიძე“
პ/ნ 60001056477

ქუთაისი ბარათაშვილის 26

თ. კუხიანიძე

A handwritten signature in blue ink, corresponding to the name 'თ. კუხიანიძე'.



ა(ა)იპ "ქუთაისის არქიტექტურის,
ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა
დაცვის სააგენტო"
N(N)LE " ARCHITECTURE, URBAN
PLANNING AND MONUMENT
PROTECTION AGENCY OF KUTAISI"



წერილის ნომერი: 10-4422186185
თარიღი: 05/07/2022

ადრესატი: შპს ელსპაუსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 412756334
მისამართი: ქუთაისი, ასათიანის ქ.98

თქვენი N 10/4422185313-44 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ 03.05.24.197 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ რომ ამჟამად მიმდინარეობს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალურ გეგმის დამუშავების პროცესი და აღნიშნულ ტერიტორია მოიაზრება როგორც სამშენებლო ზონა - ინდუსტრიული ზონა(იზ); სამშენებლო ქვეზონა- საწარმოო ზონა (იზ-1) , რომლის ქალაქგეგმარებითი პარამეტრებია კ1-; კ2- და კ3 - 0,2.

„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების მე-15 მუხლის შესაბამისად:

1. სამეწარმეო ზონა არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს საწარმოო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/ მავნე საწარმოო პროცესები.

2. ნებადართული სახეობებია:

ა) საწარმოო ობიექტი;

ბ) ღია და დახურული საწყობი;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.

3. საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს სხვა არამავნე მრეწველობის ობიექტები.


პატივისცემით,

რუსუდან ჩინჩალაძე

ა(ა)იპ „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





შპს "უნივერსალი 99" რესტორანი


გია მაჩიტაძის სახურავ/სამკვეთი

თეიმურაზ კუხიანიძის პლასტმასის საწარმო

ჯად კახანიას და სხვათა მიწის ნაკვეთი

შპს "უნივერსალი 99"

შპს "კონსტანტა" ბეტონის ნაკეთობათა საამქრო



საწარმოდან 240მ დაშორებული უახლოესი სვეტლანა მერიიანის საცხოვრებელი სახლი

თეიმურაზ კუხიანიძის პლასტმასის საწარმო

1:500



307 900

307 950

467 800.0

467 800.0



ბერძნული		შენიშვნა			
x	y	x	y		
1	307898.685	4679873.33	1	307899.47	4679840.07
2	307916.3	4679870.33	2	307908.94	4679838.91
3	307939.595	4679856.745	3	307907.25	4679826.79
4	307933.355	4679813.075	4	307897.73	4679828.27
5	307904.235	4679819.29	S = 115,4 კვ.მ		
6	307896.955	4679823.135			
7	307902.305	4679859.61	S = 1918,33 მ		
8	307896.64	4679860.795			

